## პროექტი „A friend in need is a friend indeed “ („მეგობრობა გზად და ხიდად“)

**მანანა ბაქრაძე**

პროექტი **„A friend in need is a friend indeed“ („მეგობრობა გზად და ხიდად“)** წარმოადგენდა საერთაშორისო, ინკლუზიურ საგანმანათლებლო ინიციატივას, რომელიც განხორციელდა 2024–2025 წლებში და მიზნად ისახავდა მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენას, თანამშრომლობის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, ასევე სამოქალაქო და კულტურული კომპეტენციების განვითარებას. პროექტში ჩართულმა მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა სხვადასხვა ქვეყნის კულტურის, ისტორიისა და გლობალური პრობლემების შესწავლის გზით იმუშავეს პროექტზე დაფუძნებული და ინტეგრირებული სწავლების მეთოდებით, შექმნეს ციფრული და შემოქმედებითი პროდუქტები და განივითარეს კომუნიკაციის, კვლევისა და ციფრული მოქალაქეობის უნარები. პროექტმა ხელი შეუწყო ინკლუზიური, თანაბარ შესაძლებლობებზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებას და საერთაშორისო თანამშრომლობაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო გამოცდილების შექმნას.

საგანმანათლებლო შემეცნებითი პროექტი, დაიწყო 13.07.2024 წელს და დასრულდა 25.06.2025 წელს. იგი მიზნად ისახავდა მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენასა და ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს შექმნას. პროექტის მონაწილეებმა შეისწავლეს საკუთარი და სხვა ქვეყნების კულტურა, ისტორია, ტრადიციები **კლიმატის გლობალური ცვლილების ბუნებისა და მისი უარყოფითი ეფექტების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად, ამ პროექტის ერთ-ერთი მიზანი იყო დადებითი ცვლილებები შეეტანა სტუდენტის ცოდნაში, უნარებში, ქცევასა და დამოკიდებულებებში..** პროექტი ხელს უწყობდა მოსწავლეთა თანამშრომლობას, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას, ასევე სამოქალაქო ღირებულებების გაძლიერებას. პროექტში მონაწილე ქვეყნები: თურქეთი, რუმინეთი, საქართველო, სლოვაკეთი, ესპანეთი, მოლდოვა,პოლონეთი. სულ 65 წევრი მასწავლებელი და 357 მოსწავლე. მონაწილეობის ფორმა: ონლაინ 9 ევროპის ქვეყნებთან და საქართველოს რეგიონებთან) და პირისპირ ( თითოეული მასწავლებელი საკუთარ მოსწავლეებთან).

**პროექტის მიზნები:** პროექტის ფარგლებში ჩვენი მთავარი მიზანი იყო მოსწავლეებში ინდივიდუალური უნარების, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობისა და მრავალფეროვნებისადმი პატივისცემის, სამოქალაქო ღირებულებების განვითარება.

გამოყენებული პედაგოგიური მიდგომები მოიცავდა:

- პროექტზე დაფუძნებულ სწავლას, ინტეგრირებულს სხვადასხვა საგანში (მათ შორის: ისტორია, ხელოვნება, ბუნება, მოქალაქეობა,ენები);
- მცირე ჯგუფურ მუშაობას, რომელიც ხელს უწყობდა ერთობლივ გადაწყვეტილებებსა და პასუხისმგებლობის გაყოფას;
- დამოუკიდებელ კვლევით მუშაობას, პრეზენტაციებისა და ციფრული პროდუქტების (ბროშურები, პოსტერები, თამაშები) სახით;
- ინტერაქტიულ აქტივობებს, მათ შორის ონლაინ თამაშებსა, და საერთაშორისო შეხვედრებს;

**შედეგები:** მოსწავლეები ჩაერთვნენ მრავალფეროვან აქტივობებში — ლოგოს კონკურსი, კონფერენცია, პრეზენტაციები და თემატური კვირეულები — რაც მათ საშუალებას აძლევდა გამოეხატათ ინდივიდუალური

შესაძლებლობები და ემუშავათ გუნდურად.განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა მოსწავლეებში სამოქალაქო ღირებულებების განვითარებაზე — პასუხისმგებლობა, თანამშრომლობა, გარემოზე ზრუნვა, სოლიდარობა, თანასწორობა, ინკლუზია, კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემა და სამოქალაქო აქტივობა იყო ის ღირებულებები, რომელთაც ეყრდნობოდა პროექტის თითოეული ეტაპი.

პროექტზე მუშაობის პროცესში მოსწავლეებმა განივითარეს შემდეგი ძირითადი კომპეტენციები:

- წაკითხულის გააზრება და დასაბუთება –პრობლემის მოდელირება რეალურ კონტექსტში;

- ციფრული უნარები – პრეზენტაციის, ცხრილების, ფაილების შექმნა და განაწილება, ციფრული უსაფრთხოების დაცვა და თანამშრომლობა;

- კვლევისა და ინფორმაციის დამუშავების უნარი – დამოუკიდებელი ინფორმაციის მოძიება, წყაროების სანდოობის ანალიზი და საკუთარი კონტენტის შექმნა;

- კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარი – ჯგუფური მუშაობა, იდეების გაზიარება, თანატოლების მოსმენა და ერთობლივი პროდუქტის შექმნა;

- შექმნაზე ორიენტირებული და კრიტიკული აზროვნება – მაკეტების და ვიზუალური მასალის შემუშავება, კონტექსტის გააზრება და მისგან გამომდინარე პრობლემების გადაჭრა და რესურსის მომზადება.

- მოქალაქეობრივი და კულტურული ცნობიერება – მრავალფეროვნებისადმი პატივისცემა, კულტურული ღირებულებების გაზიარება და ინკლუზიური გარემოს შექმნა.

**პროექტის კავშირები ეროვნულ სასწავლო გეგმასთან / საგნობრივ სტანდარტებთან:**

პროექტი ინტეგრირებულ იქნა სხვადასხვა საგნობრივ მოდულში: ხელოვნებაში, ინფორმაციულ ტექნოლოგიებში, ენასა და ლიტერატურაში, გეოგრაფიაში,ისტორიასა და მოქალაქეობრივ განათლებაში. თითოეული აქტივობა აერთიანებდა მულტიდისციპლინურ მიდგომას და რეალური ცხოვრების კონტექსტზე მორგებულ თემატიკას, რაც დაეხმარა მოსწავლეებს, საგნობრივი ცოდნა პრაქტიკულად გამოეყენებინათ.გარდა ამისა, გამოიყენებოდა ციფრული მოქალაქეობის კომპონენტები, როგორებიცაა უსაფრთხო ონლაინ სივრცეში მუშაობა, საერთო ღრუბლოვან გარემოში თანამშრომლობა, მონაცემთა ორგანიზება ცხრილებში (Excel), პრეზენტაციების შექმნა (PowerPoint), და შინაარსის დამუშავება Word დოკუმენტებში. მოსწავლეებმა ისწავლეს ინფორმაციის მოძიება, გადამუშავება და ციფრული ფორმით გაზიარება, რაც ხელს უწყობს კომპიუტერულ და მედია წიგნიერების უნარებს.

პროექტში აქტიურად გამოიყენებოდა სხვადასხვა ციფრული პლატფორმა და ელექტრონული ინსტრუმენტი, მოსწავლეთა ჩართულობის, ინტერაქტივობისა და თანამშრომლობის გასაძლიერებლად. იდეების გაზიარებისა და განხილვისთვის ვიყენებდით Padlet-ს, ხოლო პროექტის მასალების ატვირთვა-გაზიარებისთვის — Google Drive, Google Docs-ს. მონაწილე ქვეყნების და სკოლების რუკაზე აღსანიშნავად გამოვიყენეთ Google Maps, პროექტის მასალების ასატვირთად შეიქმნა Blogger.com, ხოლო მოსწავლეებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან გამოკითხვებისთვის — Google Forms.

პროექტის აქტივობების დაგეგმვისა და მონიტორინგის მიზნით ვიყენებდით Google Docs-ს. მოსწავლეთა ნამუშევრებისგან ციფრული წიგნები შევქმენით Book Creator-ის დახმარებით. ონლაინ შეხვედრები, კონფერენციები და სამუშაო სემინარები ჩატარდა Microsoft Teams-ის, Online Meeting-ი და Google Meet-ის პლატფორმებზე. ონლაინ რესურსების შესაგროვებლად და გასაზიარებლად ვიყენებდით Wakelet-ს. პრეზენტაციების, ლოგოების, პოსტერების და ფლაერების შესაქმნელად — PowerPoint და Canva.com. ყოველდღიური კომუნიკაციისა და კოორდინაციისთვის ვიყენებდით WhatsApp-სა, Microsoft Teams და Messenger-ს.პროექტი სრულად ითვალისწინებდა eTwinning-ის მითითებებს, გაეროს ბავშვთა უფლებების

კონვენციას და ევროპის პერსონალური მონაცემების დაცვის (GDPR) სტანდარტებს. მოსწავლეთა გამოსახულების შემცველი ფოტოებისა და ვიდეომასალების გამოქვეყნებამდე, მშობლების წერილობითი თანხმობის მიუხედავად,ზოგიერთ ვიზუალურ მასალაში მოსწავლეთა სახეები თითქმის დაფარული ან დამუშავებული იყო კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით.საავტორო უფლებების დაცვისთვის პროექტში გამოყენებული იყო მხოლოდ მონაწილეთა მიერ შექმნილი ორიგინალური მასალები ან ღია ლიცენზიით (Creative Commons) ხელმისაწვდომი რესურსები.

საერთაშორისო პროექტის მთავარი ღერძი პარტნიორ სკოლებს შორის აქტიური თანამშრომლობა იყო. ჩვენ ერთად ვმუშაობდით შემოქმედებით, ორგანიზაციულ და ტექნიკურ საკითხებზე. ეტაპები ისე დავგეგმეთ, რომ პასუხისმგებლობა თანაბრად გაგვენაწილებინა, რაც მუდმივ კომუნიკაციას მოითხოვდა.

მუშაობა პარტნიორების გაცნობითა და საკონტაქტო ინფორმაციის გაცვლით დავიწყეთ, შემდეგ კი რუკაზე სკოლების მდებარეობა მოვნიშნეთ. აქტივობები მასწავლებელთა სურვილისამებრ გადავანაწილეთ. ზოგიერთი მათგანი მრავალფეროვანი კულტურის, ტრადიციებისა და ღირებულებების გაზიარებას ისახავდა მიზნად. ეს ხელს უწყობს ინკლუზიური და ჰარმონიული სასწავლო გარემოს შექმნას, სადაც ყველას თანაბარი შესაძლებლობა აქვს.

მასწავლებლებისა და მოსწავლეების ერთობლივი მუშაობა საერთო თემის ირგვლივ დაგეგმვასა და სხვადასხვა შემოქმედებითი დავალების შესრულებაში გამოიხატა. პედაგოგებმა მოსწავლეებს მეთოდური და ტექნიკური მხარდაჭერა გაუწიეს, რამაც მათ საკუთარი კულტურული თვითმყოფადობის უკეთ გააზრებასა და გამოხატვაში დაეხმარა. მოსწავლეები, თავის მხრივ, მთელი პროცესის განმავლობაში გუნდურად მუშაობდნენ.

პროექტის შედეგად მივიღეთ თანაბარ ჩართულობაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო გამოცდილება, რომელმაც მოსწავლეთა ცოდნა და სოციალური უნარები გაამდიდრა. მასწავლებლებს შორის თანამშრომლობა საერთო ღირებულებებს ემყარებოდა. განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ ინკლუზიურობასა და გარემოს ადაპტაციას, რათა მოსწავლეების ყველა ჯგუფს, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებს, სრულფასოვანი მონაწილეობის შესაძლებლობა ჰქონოდათ.

ამ პროცესში მოსწავლეებმა ისეთი მნიშვნელოვანი უნარები განივითარეს, როგორიცაა: **კომუნიკაცია, კრიტიკული აზროვნება, ემპათია და გუნდური მუშაობა.**

ერთ-ერთი მთავარი აქტივობის მიზანი მონაწილე ქვეყნებსა და ქალაქებს შორის კულტურული და სოციალური დაახლოება იყო. მუშაობისას გამოვიყენეთ ინფორმაციის გაცვლის, კრეატიულობისა და ციფრული ტექნოლოგიების სინთეზი, რამაც საბოლოოდ პრაქტიკული და ინტეგრირებული რესურსი შექმნა.

მოსწავლეებში დამოუკიდებლობის, პასუხისმგებლობის, კვლევითი და პრეზენტაციის უნარების განსავითარებლად ჩატარდა მინი-კვლევა. მისი შედეგები მონაწილეებმა კონფერენციაზე წარადგინეს, სახელწოდებით: **„Research - Friendship as a road and a bridge“**. პროექტმა, სხვა მრავალ უნართან ერთად, ხელი შეუწყო მოსწავლეებში სამოქალაქო ღირებულებებისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებას.

**პროექტის ალტერნატიული ვარიაციები – საკლასო და სასკოლო ქსელის დონეზე**

*(იმ შემთხვევისთვის, თუ მასწავლებელი არ არის პროგრამაში ჩართული, მაგრამ სურს პროექტის განხორციელება ადაპტირებული ფორმით)*

| **თემა** | **იდეა**<br><br>**(მოკლე აღწერა)** | **საკლასო ვერსია** | **სკოლებს შორის კოლაბორაციის ვერსია** |
|---|---|---|---|
| მეგობრობა და სოლიდარობა | მეგობრობის მნიშვნელობის გააზრება ყოველდღიურ ცხოვრებაში | მოსწავლეები წერენ მოკლე ისტორიებს ან ქმნიან ნახატებს თემაზე „ჩემი მეგობარი“, შემდეგ აწყობენ საკლასო გამოფენას | სხვადასხვა სკოლა ცვლის მოსწავლეთა ნამუშევრებს ციფრულ პლატფორმაზე (Padlet/Drive) და განიხილავს საერთო ღირებულებებს |
| კულტურული მრავალფეროვნება | სხვადასხვა კულტურის ტრადიციების გაცნობა და პატივისცემა | ჯგუფები იკვლევენ ერთ ქვეყანას და ამზადებენ პრეზენტაციას ან პოსტერს | პარტნიორი სკოლები წარმოადგენენ საკუთარ კულტურას ონლაინ შეხვედრის ან ერთობლივი ბლოგის საშუალებით |
| გარემოზე ზრუნვა | გარემოს დაცვის მნიშვნელობის გააზრება მეგობრობის კონტექსტში | მოსწავლეები ადგენენ „მწვანე მეგობრობის წესებს“ და ქმნიან პლაკატებს | სკოლები ერთობლივად ატარებენ გარემოსდაცვით კვირეულს და აზიარებენ შედეგებს |
| ემპათია და ურთიერთდახმარება | სხვისი ემოციების გაგება და მხარდაჭერა | როლური თამაშები და სიტუაციური დიალოგები კლასში | სკოლებს შორის იმართება ონლაინ დისკუსია რეალურ სოციალურ სიტუაციებზე |
| ციფრული მეგობრობა | ონლაინ კომუნიკაციის ეთიკა და უსაფრთხოება | მოსწავლეები ქმნიან „ციფრული მეგობრობის წესების“ ინფოგრაფიკას | პარტნიორი სკოლები ერთობლივად ამზადებენ ციფრულ გზამკვლევს |
| საერთო პრობლემების გადაჭრა | გუნდური მუშაობით რეალური პრობლემის გადაჭრა | ჯგუფური პროექტი კლასში (მაგ. სკოლის სივრცის გაუმჯობესება) | სკოლები ირჩევენ ერთ პრობლემას და ერთმანეთს უზიარებენ გადაჭრის გზებს |
| შემოქმედებითი თვითგამოხატვა | მეგობრობის თემის ხელოვნებით გამოხატვა | მოსწავლეები ქმნიან კოლაჟებს, მაკეტებს ან კომიქსებს | ერთობლივი ონლაინ გალერეა ან ვირტუალური გამოფენა |

შეიქმნა ერთობლივი პროდუქტები:

1. **ჩვენ ერთად ვწერთ აკროსტიქს;**

**2. გალერეა;**

**3. ელექტრონული წიგნი;**

## 4. პროექტის ბლოგი

https://app.emaze.com/@ALFFOTORF/a-friend-in-need-is-a-friend-indeed#/1

https://read.bookcreator.com/w75o0iA9SieRdRvqT9YD3Zh1Aif2/ywuk2n8ASv2Yzx1YZiVLZQ

https://afriendetwproject.blogspot.com/



**online webinar for students- Project „A friend in need is a friend indeed“**

https://www.youtube.com/watch?v=ZrdVZh9CRzw&t=2s

**Kahoot Competition**

**https://www.youtube.com/watch?v=7WXxcgc1Fe8**

**conference - Research - Friendship as a road and a bridge**

**https://www.youtube.com/watch?v=s_YLsg_18_A**